აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34

12 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის ნ.ზოიძის 2004 წლის 12 ივნისის საჩივარში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ'' ქვეპუნქტის, 82-ე მუხლისა და ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' 77-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. უარი ეთქვას საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ნ.ზოიძეს 2004 წლის 12 ივნისს უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შეტანილი საჩივარის, ხელვაჩაურის №83/6 საოლქო საარჩევნო კომისიის №31 განკარგულების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილებაზე შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს დაუყოვნებლივ.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე